„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი

(2007 წლის ივლისი - 2008 წლის ოქტომბერი)

კვლევა განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩო - საქართველოში ფინანსური მხარდაჭერით,
“შევაჩეროთ ძალადობა ოჯახში!” პროექტის ფარგლებში

ავტორები: **ირმა ალადაშვილი**
ნინო ჩიხლაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციაში.
კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 200 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან
გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის
გარეშე

© 2009, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

1. შესავალი 4

2. ოჯახში ძალადობის საქმეების კვლევის მეთოდოლოგია 5

3. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის საკითხებთან მიმართებით 7

3.1. ოჯახში ძალადობის ფორმები 7

3.2. ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები – დამცავი და შემაკავებელი ორდერი 8

3.3. შემაკავებელი ორდერი 9

3.3.1. სამართალდამცავი ორგანოები 9

3.3.2. სასამართლო ორგანოები 13

3.4. დამცავი ორდერი 13

3.4.1. თბილისის საქალაქო სასამართლო 13

3.4.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლო 14

3.4.3.გორის რაიონული სასამართლო 14

3.4.4. საქართველოს მთავარი პროკურატურა 14

4. 2006-2007 და 2007-2008 წლების მონიტორინგების მონაცემთა შედარება 15

5. დასკვნა 18

დანართები 20

„ოჯახში ძალადობა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ ახორციელებს, ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენს. სახელმწიფოების ვალდებულებაა, აღკვეთონ მოძალადეთა დაუსჯელობა. ხშირად სახელმწიფო პოლიტიკა და უმოქმედობა ხელს უწყობს ან, უბრალოდ, ურიგდება ოჯახში ძალადობის არსებობას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების თანახმად, სახელმწიფოებს ორმაგი ვალდებულება აკისრიათ: მათ მოეთხოვებათ არა მარტო ადამიანის უფლებათა დაცვა, არამედ ადამიანის უფლებათა დარღვევაზე სათანადო რეაგირება და მათი აღკვეთა.“

რადიკა გუმარასვამი
გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა
წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე

1. შესავალი

ოჯახში ძალადობა თანამედროვე საზოგადოების პრობლემაა. მას არ გააჩნია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური ან ტერიტორიული საზღვრები. პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის ძალადობა ხდება ოჯახში, ოჯახის წევრებს შორის და ფართო საზოგადოებისათვის, ხშირ შემთხვევაში, დაფარულია. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები არიან. ძალადობის თანმდევი შიშის გამო, ისინი ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებების დაცვას.

საქართველოს ხელისუფლებამ ოჯახში ძალადობის პრობლემა 2006 წლის 25 მაისს აღიარა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონის მიზანია, *განისაზღვროს ის ქმედებები, რაც ახასიათებს ოჯახში ძალადობას, შეიქმნას მისი გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები* და, *ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი* და *სოციალური* *დაცვის* *გარანტიები.*

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „შევაჩეროთ ძალადობა ოჯახში!“ ფარგლებში შეისწავლა

კანონიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში. წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეფასდეს, ხდება თუ არა საზოგადოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების, როგორც ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიების, გამოყენება. ვფიქრობთ, მონიტორინგის შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ, დაინერგა თუ არა ცხოვრებაში ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით მიღებული კანონმდებლობა.

აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე კვლევის მიზანი არ ყოფილა დამცავი/შემაკავებელი **ორდერით დარეგულირებული ძალا**დობის შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი. კვლევის დროს, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ გამოცემული ორდერების რაოდენობა და იმის გარკვევა, ძალადობის რომელი ფორმის არსებობის დროს გამოიცა ორდერი და ვის სასარგებლოდ. ასევე, ხდებოდა თუ არა არასრულწლოვნების მსხვერპლად აღიარება ოჯახში ძალადობის დროს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მსგავსი სახის კვლევა 2007 წელსაც განახორციელა. ანგარიში მოიცავდა 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე პერიოდს. ვფიქრობთ, გასული პერიოდის მონაცემები დაგვეხმარება წინამდებარე მონიტორინგის შედეგების ანალიზის დროს.

2. ოჯახში ძალადობის საქმეების კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში თავმოყრილი ინფორმაცია მთლიანად ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის საფუძველზე საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. კერძოდ, მონიტორინგის განხორციელებისას, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რამდენი **შემაკავებელი** და **დამცავი ორდერი** იქნა გამოცემული;
- **რა სახის ძალადობაზეა** გამოცემული აღნიშნული ორდერები. სტატისტიკური მონაცემები თითოეული სახის ძა-

ლადობაზე ცალ-ცალკე (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა; იძულება);

- რამდენ შემთხვევაში იქნა მსხვერპლად წარმოდგენილი **ქალი** და რამდენ შემთხვევაში — **მამაკაცი;**
- რამდენ შემთხვევაში იყო **არასრულწლოვანი** ძალადობის მსხვერპლი;
- მოძალადეს **მიერ შემაკავებელი და დამცავი ორდერით** გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, რამდენ შემთხვევაში დაიწყო **სისხლისსამართლებრივი დევნა.**

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა მოიცავს 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდს და ფარავს თბილისს, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს. საჯარო ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა შემდეგი ორგანოებიდან:

<u>თბილისი</u>

- ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო;
- ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია);
- საქართველოს მთავარი პროკურატურა.

<u>იმერეთი</u>

- საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო;
- დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

<u>შიდა ქართლი</u>

- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველო;
- გორის რაიონის სასამართლო;
- შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო.

3. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის საკითხებთან მიმართებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (შემდეგში „კანონი“). კანონი ოჯახში ძალადობას განმარტავს, როგორც **„ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს კონსტიტუ**ციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.

3.1. ოჯახში ძალადობის ფორმები

კანონი ძალადობის თითოეულ ფორმას განმარტავს, როგორც:

- **ფიზიკური ძალადობა** – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
- **ფსიქოლოგიური ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;
- **სექსუალური ძალადობა** – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
- **ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, **თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვ**ნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;
- **იძულება** – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის ინტერესებისათვის **„ოჯახის წევრის“** ცნება გაფართოებულია და მოიცავს შემდეგ პირებს: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

„ოჯახის წევრის“ ცნებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის **მსხვერპლად** ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება, ხოლო **მოძალადედ** მიიჩნევა ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

3.2. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები - დამცავი და შემაკავებელი ორდერი

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, დროებითი ღონისძიების სახით, გამოიყენება **დამცავი** და **შემაკავებელი** ორდერები. აღნიშნული ორდერები გამოიცემა უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და მოძალადეთათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას.

დამცავი ორდერი არის მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

შემაკავებელ და დამცავ ორდერებს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის თანამშრომელი უშუალოდ ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროს და იგი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. რაც შეეხება დამცავ ორდერს, იგი გამოიცემა სასამართლოს მიერ, უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 10 დღის ვადაში.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან დაცვის ზომები;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან გარიდებისა და თავშესაფარში მისი მოთავსების საკითხები;
- მოძალადეს **მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარ**გებლობის უფლების აკრძალვა;
- მოძალადესაგან **ბავშვის განცალკევების, მასთან შეხვე**დრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები;
- მოძალადეს **მიახლოების საკითხი მსხვერპლთან, მის სამსა**ხურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

3.3. შემაკავებელი ორდერი

წინამდებარე **ქვეთავში მოცემული მონაცემები ემყარება საქარ**თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის საფუძველზე მოწოდებულ საჯარო ინფორმაციას.

3.3.1. სამართალდამცავი ორგანოები

თბილისი, მცხეთა-მთიანეთი

შს სამინისტროს **თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის** საპატრულო პოლიციის მიერ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდში სულ გამოცემულია **229 შემაკავებელი ორდერი**. მათ შორის, 211 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, 18 შემთხვევაში — მამაკაცი, ხოლო ერთ შემთხვევაში — არასრულწლოვანი.



საერთო ჯამი 230

ზემოაღნიშნული შემაკავებელი ორდერები გაიცა შემდეგი ძალადობის ფორმების არსებობის დროს:[1]

- ფსიქოლოგიური ძალადობა – 96
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა – 99
- ფიზიკური ძალადობა – 23
- ეკონომიკური ძალადობა – 10



[1] შენიშვნა: მოწოდებულ ინფორმაციაში ცალკე იყო გამოყოფილი სიტყვიერი ძალადობა. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახში ძალადობის კანონმდებლობა სიტყვიერი ძალადობის იდენტიფიცირებას ცალკე ძალადობის ფორმად არ ახდენს, „სიტყვიერი ძალადობა“ ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად განიხილება.

იმერეთის რეგიონი

2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე **იმერეთის რეგიონში** სულ გამოცემულია **10 შემაკავებელი ორდერი**. მათ შორის, 9 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, ხოლო ერთ შემთხვევაში — მამაკაცი.



საერთო ჯამი – 10

აღნიშნული შემაკავებელი ორდერები გამოცემულია შემდეგი ძალადობის ფორმების არსებობის დროს:

- ფიზიკური ძალადობა – 7
- ფსიქოლოგიური ძალადობა – 3



შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მიერ, მოცემულ პერიოდში, გამოცემულია **33 შემაკავებელი ორდერი**. 27 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, ხოლო 6 შემთხვევაში – მამაკაცი.



საერთო ჯამი 33

აღნიშნული შემაკავებელი ორდერები გამოცემულია შემდეგი ძალადობის ფორმების არსებობის დროს:

- ფიზიკური ძალადობა – 5;
- ფსიქოლოგიური ძალადობა – 23;
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა – 5.



3.3.2. სასამართლო ორგანოები

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია) მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა 239 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე, აქედან:

- **დამტკიცდა – 214**
- **ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 6**
- არ დამტკიცდა – 18
- შეწყდა – 1

3.4. დამცავი ორდერი

3.4.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის დეკემბრის მდგომარეობით, **27 დამცავი ორდერის მოთხოვნიდან:**

- დამტკიცდა – 18
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 1
- უარი ეთქვა – 6
- შეწყდა – 2

დამცავი ორდერის მოთხოვნებიდან მსხვერპლად წარმოდგენილი იყო 23 ქალი, 4 მამაკაცი:



საერთო ჯამი 27

დამცავი ორდერის მოთხოვნებში დაფიქსირდა ძალადობის შემდეგი ფორმების არსებობა:

- ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური – 7
- იძულება – 3
- ფიზიკური – 4
- ფსიქოლოგიური – 5
- ფიზიკურ-ფსიქოლოგიური – 8



3.4.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდში გამოიცა ერთი დამცავი ორდერი.

3.4.3. გორის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდში დამცავი ორდერი არ გამოცემულა.

3.4.4. საქართველოს მთავარი პროკურატურა

2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან პროკურატურის შესაბამის უწყებებს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაბარდა **369 შემაკავებელი ორდერი**, მათ შორის:

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიცია	სამეგრელო — ზემო სვანეთის საპატრულო პოლიცია	სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიცია	აჭარის საპატრულო პოლიცია	შიდა ქართლის საპატრულო პოლიცია	ქვემო ქართლის საპატრულო პოლიცია	კახეთის საპატრულო პოლიცია	იმერეთის საპატრულო პოლიცია
270	**6**	**1**	**34**	**33**	**13**	**2**	**10**

შემაკავებელი ორდერების თანდართული ოქმებიდან გამომდინარე, არ დაფიქსირებულა შემთხვევები, რომლებიც გახდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

4. 2006-2007 და 2007-2008 წლების მონიტორინგების მონაცემთა შედარება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2007 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განახორციელა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი, რომელიც მოიცავდა 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე პერიოდს. აღნიშნული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა ძალიან მცირეა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალურობას.

რაც შეეხება ძალადობის გამოვლინების ფორმებს, ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ხოლო სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და იძულება, ისევე, როგორც 2007 წლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგში იყო ნაჩვენები, დღესაც მხოლოდ ერთეულების სახით გვხვდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ასევე მოიკვლია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა **მოძალადეს მიერ შე**მაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. თუმცა, როგორც სათანადო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთ შემთხვევაზე არ დაწყებულა.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ სხვადასხვა პერიოდის (2006-2007 და 2007-2008 წლები) მონიტორინგების შედეგებს ცხრილის სახით:

საპატრულო პოლიციის მიერ გამოცემული **შემაკავებელი ორ-დერები**

	2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე	2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე
გეოგრაფიული ერთეული	**შემაკავებელი ორდერი**	**შემაკავებელი ორდერი**
თბილისი	236	229
იმერეთის რეგიონი	20	10
შიდა ქართლი	15	33
ჯამი	**271**	**272**
საერთო ჯამი		**43**

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ქვეყნის მასშტაბით

	2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე	2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე
გეოგრაფიული ერთეული	**შემაკავებელი ორდერი**	**შემაკავებელი ორდერი**
თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიცია	273	270
სამეგრელო — ზემო სვანეთის საპატრულო პოლიცია	1	6
სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიცია	0	1

აჭარის საპატრულო პოლიცია	53	34	
შიდა ქართლის საპატრულო პოლიცია	11	33	
ქვემო ქართლის საპატრულო პოლიცია	16	13	
კახეთის საპატრულო პოლიცია	3	2	
იმერეთის საპატრულო პოლიცია	15	10	
ჯამი	**372**	**369**	
საერთო ჯამი			**741**

დამცავი ორდერების რაოდენობა რეგიონებისა და სხვადახვა პერიოდის შედეგების მიხედვით

	2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე	2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე	
გეოგრაფიული ერთეული	**დამცავი ორდერი**	**დამცავი ორდერი**	
თბილისი	5	19	
იმერეთის რეგიონი	0	1	
შიდა ქართლი	6	0	
ჯამი	**11**	**20**	
საერთო ჯამი			**31**

5. დასკვნა

მოცემული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ რეგიონებში შედარებით ნაკლებად ხდება კანონით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმებისთვის მიმართვა, რაც, ძირითადად, საზოგადოების ინფორმირებულობის და, ამ კუთხით, მათი ცნობიერების დაბალი დონით შეიძლება აიხსნას. თუმცა, ის ფაქტი, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერებით სარგებლობა და მათი გამოყენება ხდება, ადასტურებს კანონის საჭიროებას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია და, გამომდინარე აქედან, მოიცავდა მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც დაინტერესებულმა პირმა კანონის შესაბამისად მიმართა სამართალდამცავ ან სასამართლო ორგანოებს. რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ არაოფიციალურ მონაცემებს, მათი რიცხვი გაცილებით მაღალია. ის, რომ ასეთი ფაქტების გამჟღავნება ხშირ შემთხვევაში არ ხდება, უკავშირდება საზოგადოების ცნობიერების დაბალ დონესა და ტრადიციულ მიდგომებს ოჯახში ძალადობის ტაბუირებასთან მიმართებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, აუცილებელია ქართული საზოგადოების მიერ იმის გაცნობიერება, რომ ძალადობა, მიუხედავად იმისა, სად მოხდება ის, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს, რომელზეც თვალის დახუჭვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის შესაძლოა ფატალური შედეგით დასრულდეს. ამასთან, ყველასთვის ნათელია, რომ ოჯახში ძალადობას საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მივყავართ, რაც აისახება არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე, არამედ თაობებზეც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა ოჯახში კომპლექსური პრობლემაა და არ არსებობს მხოლოდ ერთი, ყველა სიტუაციისათვის მისაღები სტრატეგია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის გარემოება, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლები როგორც პოლიტიკის, ისე პროგრამულ დონეზე. ეფექტური სტრატეგია უნდა ითვალისწი-

ნებდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ადვილად ხელმისაწვდომ მრავალმხრივ მომსახურებას. ასევე, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობასა და, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივ მოქმედებას ინტერვენციისა და პრევენციის გზების დასახვისას.[2]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამოხატავს ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის სურვილს საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემის აღმოსაფხვრელად.

[2] ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, Innocent Digest, №6, 2000 (ქართულად გამოიცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, თბილისი 2006).

დანართები

დანართი №1

ქ.01/229.08
16.10.08

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№7/2/7-3548 „07" 10 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჩხეიძეს

მისამართი: თბილისი, კრილოვის ქ. №15

ბატონო გიორგი,

თქვენი 23.09.08 წლის №გ-01/86-08 და №გ-01/88-08 წერილების პასუხად, გაცნობებთ, რომ შს სამინისტროს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მიერ სულ გამოცემულია – 229 შემაკავებელი ორდერი. ამათგან, მსხვერპლად წარმოდგენილია – 211 ქალი, ხოლო – 18 მამაკაცი, 1 შემთხვევაში ჩართულია არასრულწლოვანი.

გამოცემულია შემდეგი სახის შემაკავებელი ორდერები: ფიზიკური – 23, ფსიქოლოგიური – 96, ეკონომიკური – 10, ფიზიკური და ფსიქოლოგიური – 85, სიტყვიერი და ფიზიკური – 14.

პატივისცემით,

ზვიად თავართქილაძე

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

0114, თბილისი, ბ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 411068, ტელ./ფაქსი: (+995 32) 411017, (+995 32) 272934, ელ.ფოსტა: info@pol.ge

Ş-01/79.08
23.10.08

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა

0114, თბილისი, გენერალ გ. იულონის ქ. № 10

№ 1/217-3752 „22" 10" 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის
პროგრამების დირექტორს
ბატონ ნოდარ [illegible]ს

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის მე-6 ჩიხი, №12

ბატონო ნოდარ,

თქვენი 2309.08 წლის №ş-01/150 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2007 წლის იელისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე იმერეთის რეგიონში სულ გამოცემულია – 10 შემაკავებელი ორდერი. მათ შორის მსხვერპლად წარმოდგენილია – 9 ქალი, ხოლო – 1 მამაკაცი. შემაკავებელი ორდერებიდან 7 გამოცემულია ფიზიკურ ძალადობაზე, ხოლო 3 სიტყვიერი და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.

პატივისცემით,

Z. asastavi

ხვიად თავართქილაძე
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

დანართი №3

Ş-06/293-08
16.10.08

16. 10. 2008

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა

0114, თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. № 10

№ 7/4/7-3626 «13» 10 2008 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
გორის ოფისის ხელმძღვანელს
ქალბატონ ქეთევან ბებია'შვილს

მისამართი: გორი, სტალინის ქ. №18/3

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი 23.09.08 წლის №g-06/290-08 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ შს სამინისტროს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მიერ სულ გამოცემულია – 33 შემაკავებელი ორდერი. ამათგან, მსხვერპლად წარმოდგენილია – 27 ქალი, ხოლო – 6 მამაკაცი.

შემაკავებელი ორდერები არის შემდეგი სახის: ფიზიკური – 5, ფსიქოლოგიური – 22, ფიზიკური და ფსიქოლოგიური – 5, სიტყვიერი და ფსიქოლოგიური – 1.

პატივისცემით,

გიორგი კიკნაძე
ადამიანის უფლებათა დაცვის
და მონიტორინგის
მთავარი სამმართველოს უფროსი

ახალი
ქ-04/164-09
16.01.09

ი. ...

თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ ტელ: 54-10-63;

№ ... 13 იანვარი 2009 წელი

ქალბატონ თამარ ხიდაშელს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს

თქვენი №g-04/85-08 26.12.2008 (ჩვენთან შემოვიდა 2008 წლის 29.12.2008 სარეგისტრაციო ნომერი №55-76) მომართვის პასუხად

გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავის შესაბამისად

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2007 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით საპატრულო პოლიციის მიერ შემოტანილ იქნა 155 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით, აქედან 134 დამტკიცდა, არ დამტკიცდა 16 შუამდგომლობა, 4 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1 შეწყდა, 148 შემთხვევაში მსხვერპლი არის ქალი, 7 – მამაკაცი, აღნიშნული ორდერები დამტკიცებული იქნა

139 შემთხვევაში ფსიქოლოგიურ-ფიზიკური, 8 სიტყვიერი ძალადობის, 2 სექსუალური, 4 ფსიქოლოგიურ ეკონომიური, 2 იძულების ფაქტებზე.

ამავე პერიოდში შემოსული 12 დამცავი ორდერის მოთხოვნიდან 7 დამტკიცდა, ფსიქოლოგიურ ეკონომიური ძალადობის, უარი ეთქვა 2 იძულების, 2 შეწყდა ფიზიკური, 1 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ სიტყვიერ ფაქტზე, 12 შემთხვევაში არის 11 მოძალადე კაცი, 1 მსხვერპლი კაცი, რაც შეეხება 2008 წლის მდგომარეობით შემოტანილ 84 შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნას, სადაც მსხვერპლია 81 ქალი, 3 მამაკაცი, დამტკიცდა 80, უარი ეთქვა 2 შუამდგომლობას, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ 2, აქედან სიტყვიერ ძალადობაზე 3, ფიზიკურ ფსიქოლოგიურზე 73, ფიზიკურზე 8, დამცავი ორდერის მოთხოვნას რაც შეეხება, შემოსულია 15 შუამდგომლობა, გაიცა 11-ზე, 4 უარი ეთქვა, 13 შემთხვევაში მსხვერპლი არის ქალი, 2 შემთხვევაში მამაკაცი, აქედან ფიზიკურ ძალადობის 2, ფიზიკურ ფსიქოლოგიური 8, ფსიქოლოგიური 4, იძულების 1 ფაქტზე,

პატივისცემით,

ირაკლი კალმახელიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
ბიუროს უფროსი

ახალი

FROM : GYLA FAX NO. : 99533146523 Jan. 12 2009 2

Ş-01/01.09
12.01.09

გადასცა ქ-ნ ანა ალაფაძეს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქუთაისის საქალაქო
სასამართლო
31 დეკემბერი 2008წ.
№4963

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ნინო თვალთვაძეს
ქუთაისი, რუსთაველის მეორ ჩიხი №12

თქვენი 2008 წლის 23 დეკემბრის №ş-06/167 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის იანვრიდან 2008 წლის ოქტომბრამდე განხილულია სამი სამოქალაქო საქმე „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".

მითითებული საქმეებიდან სასამართლოს მიერ დამტკიცებულია ორი შემაკავებელი და ერთი დამცავი ორდერი, ოჯახური ძალადობის სახეა – ფიზიკური და ფსიქოლოგიური და სამივე შემთხვევაში მსხვერპლად წარმოდგენილია ქალი.

ასევე გაცნობებთ, რომ მოძალადე პირებზე შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო სიხშირისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

მარინა ტყეშელაშვილი
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს
კანცელარიის მთავარი სპეციალისტი

4600 ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11 ☎: 2 77 72

დანართი №6

02. 10. 2008

გორის რაიონული სასამართლო

GORI REGIONAL COURT

ქ.გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30 1400 Gori, S. Jorbenazde st. №30
ტელ:/8-270/7-48-95 Tel: /8-270/7-48-95

№ 4221 შ/ფ „02" ოქტომბერი 2008 წ.

ქ-06/197-08
2.10.08

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

გორის ოფისის ხელმძღვანელს

ქალბატონ ქეთევან ბებიაშვილს

თქვენი 2008 წლის 25 სექტემბრის №გ-06/302-08 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე გორის რაიონულ სასამართლოში საპატრულო პოლიციის მიერ შემოტანილია სამი შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერი დამტკიცები შესახებ.

შემაკავებელი ორდერები გამოცემულია, ძირითადად, შემდეგი სახის ძალადობაზე: ფიზიკური ძალადობა (2), ფსიქოლოფიური ძალადობა (2) და სიტყვიერი შეურაცხყოფა (1).

სამივე შემთხვევაში მსხვერპლად წარმოადგენილია ქალი.

მოძალადის მიერ შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის მოტივით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

პატივისცემით,

კანცელარიისა და მისაღები
განყოფილების სპეციალისტი ლანა დემურიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს
მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

№26/12-2008/19

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ხიდაშელს

ქ. თბილისი კრილოვის ქ. №15

ქალბატონო თამარ,

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2008 წლის 11 დეკემბრის №g-01/108-08 წერილი და გაცნობებთ, რომ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე პეროდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან პროკურატურის შესაბამის უწყებებს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაბარდათ 369 შემაკავებელი ორდერი, მათ შორის:

1. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მიერ – 270;
2. სამეგრელო-ზემო სვანთის საპატრულო პოლიციის მიერ – 06;
3. სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მიერ – 01;
4. აჭარის საპატრულო პოლიციის მიერ – 34;
5. შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მიერ – 33;
6. ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის მიერ – 13;
7. კახეთის საპატრულო პოლიციის მიერ – 02;
8. იმერეთის საპატრულო პოლიციის მიერ – 10;

აქვე გაცნობებთ, რომ შემაკავებელი ორდერების თანდართული ოქმებიდან გამომდინარე არ დაფიქსირებულა შემთხვევები, რაც გახდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

გივი ბაღდასარიანი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

0133 თბილისი, გორგასლის ქ. 24; ტელ.:+(995 32) 40 51 42; ფაქსი +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge
24, Gorgasali str., Tbilisi 0133, Georgia. Tel.: +(995 32) 40 51 42; Fax: +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge